საქართველოს ტურიზმის პოლიტიკა და განვითარების ტენდენციები

მარინა მეტრეველი
რუსუდან ქუთათელაძე

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, ზოგადად, ქვეყნის არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ, ქვეყანაში უცხოელ ტურისტთა ჩამოსვლა საგრძნობლად შეამცირა. შესაბამისად, ტურიზმის დარგის განვითარებისათვის შეიქმნა არახელსაყრელი გარემო. აღნიშნულმა სიტუაციამ ტურისტული პროდუქტისა და ბაზრების მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია. ადგილობრივი ტურიზმი თავისი ფორმითა და შინაარსით შეიცვალა, იგი, ახლა უკვე, საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირებდა. საერთაშორისო ტურისტული ბაზრებისათვის, ძირითადად, ხდებოდა ე.წ. „სათავგადასავლო“ და „კულტურული“ ტურების შეთავაზება. ტურები (ლაშქრობები, სამთო, ეკოლოგიური და ბუნების გაცნობითი ტურები და მარშრუტები სპეციალური თემატიკის მიხედვით) ფარავდა საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს და, ხშირ შემთხვევაში, ხორციელდებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ანალოგიურ პროგრამებთან ერთად – ჯგუფური ანუ ორგანიზებული სახით.

ქართული ტურისტული პროდუქტის არაკონკურენტუნარიანობას განსაზღვრავდა მომსახურების დაბალი ხარისხი და მაღალი ფასები (აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებული იყო 2011 წლამდე). დღეს ქართული ტურისტული პროდუქტი განიცდის ტრანსფორმირებას, რამაც ახლო მომავალში შესაძლებელი უნდა გახადოს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება მეზობელი ქვეყნებისა და უცხოურ ტურისტულ ბაზრებზე. მაგალითად, თურქული და რუმინული ტურ-პროდუქტის კონკურენტუნარიანობა, ძირითადად, ავიაბილეთების შედარებით დაბალი ფასებითა და მომსახურების მაღალი დონით არის მიღწეული.

ქართული ტურისტული კომპანიების მომსახურების დღიური ფასი, ძირითადად, 100-დან 180 აშშ დოლარამდე მერყეობს. მასში, ტურისტული მომსახურების ღირებულების გარდა, შედის მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯებიც (თვითმფრინავის ბილეთი, მოსაკრებელი, ვიზა და ა.შ.), თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ აღნიშნული ღირებულება მხოლოდ 10 და მეტ კაციან ტურისტულ ჯგუფებზეა გათვლილი. [1]

2004 წლიდან გააქტიურდა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნისა და ქართული ტურისტული პროდუქტის წინ წაწევის ღონისძიებების გატარების პროცესი. აღნიშნულის მიუხედავად, ტურისტული ბაზრის ზრდის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს დღემდე წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის არამიზნობრივად და არათანმიმდევრულად განხორციელებული სარეკლამო სტრატეგია და მისი წინ წაწევის ღონისძიებები, ასევე ქვეყნის, როგორც ტურისტული დანიშნულების პუნქტის, იდენტიფიცირება უცხოეთის ქვეყნების ტურისტულ ბაზრებზე. ამით აიხსნება იმ საბაზრო სეგმენტთა სიმცირე, რომელშიც 2011 წლამდე შეაღწია ქართულმა ტურისტულმა პროდუქტმა.

ზოგადად, საქართველოში, როგორც შიდა, ასევე ქვეყანაში შემოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და პოპულარულია ტურიზმის შემდეგი მიმართულებები: [1]

- სათავგადასავლო ტური – ერთ-ორ კვირიანი სამოგზაურო ტურ-პაკეტი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში (კომბინირებული);
- კულტურული ტური – ე.წ. „ძირითადი ნაკადის“ კლიენტებისათვის;
- სპეციალიზებული ტურები – ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა ღირსშესანიშნაობების, ასევე მეღვინეობის ტრადიციების გაცნობით და ა.შ.;
- რელიგიური და საპილიგრიმო (მომლოცველთა) ტურები – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მონახულება ქვეყნის ყველა რეგიონში;
- ზამთრის სპორტული ტურები – გუდაურში, ბაკურიანში, მესტიასა და აჭარაში (გომარდული – შუახევის რაიონში და გედლები – ხულოს რაიონში);
- ეკოტურები – ქვეყანაში არსებული დაცული ტერიტორიებზე უნიკალური ფლორითა და ფაუნით;
- სამთო ტურები – მსოფლიოს პროფესიონალ ალპინისტებსა და მოყვარულ მთამსვლელებისათვის;
- სასოფლო და აგროტურიზმი – ულამაზესი ლანდშფტებით, უძველესი სტუმარმასპინძლობის ტრადიციებით და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც იწვევს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შეფერხებას,

დაკავშირებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის ჯერ კიდევ არსებულ სიმწირესთან. არასაკმარისია ტურისტთა განთავსების საშუალებები: სასტუმროები, სასტუმრო სახლები, მოტელები, ჰოსტელები და ა.შ., რაც განსაკუთრებით რეგიონებში და მთავარ გზებზეა შესამჩნევი. სასტუმროებისა და სხვა განთავსების საშუალებების დეფიციტი მნიშვნელოვნად მწვავდება ტურისტულ-საკურორტო სეზონების პერიოდში.

2004 წლებიდან, საქართველოში მიღწეული ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის, კერძო საკუთრების ლეგალიზაციის, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გააქტიურების, საერთაშორისო კავშირების შესამჩნევი გაძლიერებისა და რეფორმატორული კანონმდებლობის შედეგად, ქვეყანაში ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გამოცოცხლების ნიშნები გაჩნდა.

2008 წლიდან ინტენსიურად დაიწყო ქვეყანაში გამართული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც აადვილებს და ამცირებს საქართველოს კულტურულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ძეგლებამდე გადადგილების დროს და ტურების ღირებულებას.

უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდა ტურისტულ ინდუსტრიაში მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება, კერძოდ, ქართულ-თურქულმა კომპანიამ „ტაუ-ურბან-ჯორჯია“ თბილისის აეროპორტის ასაშენებლად 62 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ბათუმის აეროპორტისათვის – 28,5 მილიონი დოლარის ინვესტირება განახორციელა. აღსანიშნავია, რომ თბილისის ახალი აეროპორტი საათში 2000 მგზავრის, ხოლო ბათუმის აეროპორტი კი საათში 500 მგზავრის მომსახურებაზეა გათვლილი, რაც ქვეყანაში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არის დაბალი მაჩვენებელი.[8]

ისრაელის საინვესტიციო კომპანიამ „ნოვომენეჯმენტ ჯორჯია“ ბაზალეთის ტბის კომპლექსისა და თბილისში ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობაზე 17 მილიონი აშშ დოლარი დააბანდა. მოცემული კომპლექსი ერთდროულად 2000 ტურისტის მომსახურებაზეა გათვლილი. ჩატარდა მცხეთის რეაბილიტაცია, ახალ ზამთრის კურორტებზე (სვანეთი, აჭარა) შენდება ტურისტული ინფრასტრუქტურა და ა.შ.

საზღვრის დაცვის დეპატამენტის ინფორმაციებზე დაყრდნობით, 2000 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 387 258 კაცი შეადგინა. 2001 წელს ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა 85 043–ით, ხოლო 2002 წელს – 8 092-ით. 2003 წელს ქვეყანას ეწვია 313 442, ხოლო 2004 წელს – 368 312 ვიზიტორი. 2005 წელს ქვეყნაში შემოვიდა 560 021. 2006 წელს – 983114, 2007 წელს – 1 051 769, 2008 წელს – 1 290 107, 2009 წელს – 1 500 049, 2010 წელს ვიზიტორთა რაოდენობა განისაზღვრა 2 032 586 ტურისტით. ქვეყანაში 2000-2010წწ. ტურისტთა შემოსვლები გაიზარდა 5,2-ჯერ. ტურიზმის წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 2006 წელს შეადგენდა 3,92%, 2007 წელს – 4,10%, 2008 წელს – 3,72%, ხოლო 2009 წელს – 4%. 2011 წელს შემოსულ ტურისტთა რაოდენობამ შეადგინა 2 820 185 ტურისტი, რაც წინა წელთან შედარებით 39%-ინ ზრდას წარმოადგენს (დიაგრამა 1.) [12].

დიაგრამა 1.

საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა (2000–2010)



წყარო: შშ/ს საზღვრის დაცვის პოლიცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011

ზემოჩამოთვლილი მონაცემების არარეალისტურობა მრავალი წელია წარმოადგენს პრობლემას როგორც ქვეყნის ტურიზმის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, ისე ტურისტული ბიზნესსაქმიანობის მიმართულებების დაგეგმვისა და ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის მიზანმიმართულად

განხორციელებისათვის. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით 2010 წლიდან ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მხრიდან (სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან ერთად) დაიწყო მუშაობა ქვეყანაში შემოსულ ტურისტთა დათვლის მეთოდიკის შესამუშავებლად, რომლის შემუშავების შემდეგ საჭირო გახდება ტურისტული ბაზრის შეფასების სხვა ძირითადი მაჩვენებლების (მშპ-ში ტურიზმის წილის, ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობის, დარგში მიზიდული ინვესტიციების და ბიუჯეტში ტურიზმიდან შემოსავლების მოცულობის) დათვლის მეთოდიკის შემუშავებაც, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლის განსაზღვრისა და დარგის განვითარების სწორი პოლიტიკის შემუშავების აუცილებელ პირობას [10].

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს-სტატისტიკის სამმართველოს მომსახურების სტატისტიკის განყოფილება ატარებს სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების კვლევას. ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია განისაზღვროს განთავსების საშუალებების ტიპები, აღირიცხოს ვიზიტორების რაოდენობა კვარტალურად, ვინაიდან განთავსების საშუალებები, განსაკუთრებით რეგიონებში, სეზონურად არის დატვირთული. აგრეთვე, სეზონურად იცვლება შემოსავალი სასტუმროს თითოეული ნომრის გაქირავებიდან. დღეისათვის არ მოგვეპოვება ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა – განთავსების საშუალების დატვირთვის კოეფიციენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციაში შედის კვარტალური საგადასახდელო ბალანსის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ტურიზმის ექსპორტისა და იმპორტის შეფასებას (დიაგრამა 2., ცხრილი 1.). ტურიზმის ექსპორტის შეფასება მნიშვნელოვანია ტურიზმის სატელიტური ანგარიშების სისტემის განვითარებისათვის. დღეისათვის, ტურიზმის მუხლის შესაფასებლად გამოიყენება 2006 წლის „მაქოსებრი საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ტურისტული მომსახურების გამოკვლევა". მსგავსი კვლევები ჩატარდა 2000 და 2006 წლებში. უცხოელ მოგზაურებთან დაკავშირებულ კვლევებს შორის ასეთმა ხანგრძლივმა ინტერვალმა შეიძლება მათ მიერ დახარჯული თანხის არასწორად შეფასება გამოიწვიოს. უფრო მეტიც, 2006 წლის „მაქოსებრი საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ტურისტული მომსახურების გამოკვლევამ", რომელიც ივლის-ნოემბერში ათ საზღვარზე მიმდინარეობდა, აჩვენა, რომ უცხოელი მოგზაურების ხარჯები მნიშვნელოვნად ცვალებადია თვეებისა და სეზონების მიხედვით. [13]

დიაგრამა 2.

ტურიზმის წილი მთლიან ექსპორტში 2009-2010 კვარტალურად



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევა ეხება ტურისტული საწარმოებიდან მიღებულ საბიუჯეტო შემოსავლებს (ცხრილი 2., 3.). [14]

2009 წლის ჩათვლით შესაძლებელი იყო ტურისტული საწარმოებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვა ბიუჯეტში შეტანილი გადასახადების სახეების მიხედვით. ამ გზით აღირიცხებოდა: სასტუმროები, სასტუმროები რესტორნებით, ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები.

2010 წლიდან გაუქმდა ეკონომიკური საქმიანობის მითითების აუცილებლობა საწარმოს რეგისტრაციის დროს. შესაბამისად, შეუძლებელი გახდება ახლად დარეგისტრირებული საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა დარგისთვის საინტერესო კუთხით.

ცხრილი 1.

ტურიზმის მუხლი საგადამხდელო ბალანსში

	ტურიზმი	კრედიტი	დებეტი
I კვარტალი	24,152.00	63,889.60	-39,737.60
II კვარტალი	51,544.60	90,174.20	-38,629.60
III კვარტალი	78,330.50	129,086.90	-50,756.40
IV კვარტალი	53,947.90	100,595.10	-46,647.30
სულ 2007	207,975.00	383,745.80	-175,770.80
I კვარტალი	43,315.30	85,434.30	-42,119.00
II კვარტალი	77,142.10	132,430.90	-55,288.80
III კვარტალი	72,380.30	125,883.10	-53,502.80
IV კვარტალი	50,317.60	102,897.60	-52,580.00
სულ 2008	243,155.30	446,646.00	-203,490.60
I კვარტალი	38,265.50	77,676.30	-39,410.80
II კვარტალი	63,767.10	114,353.30	-50,586.30
III კვარტალი	108,799.10	158,388.40	-49,589.30
IV კვარტალი	83,579.90	125,470.90	-41,891.00
სულ 2009	294,411.60	475,889.00	-181,477.40
I კვარტალი	64,440.70	101,609.00	-37,168.30
II კვარტალი	88,030.80	139,164.80	-51,134.00
III კვარტალი	171,279.30	226,194.80	-54,915.50
IV კვარტალი	–	–	–

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011

ცხრილი 2.

2009 წელს მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები

	გადამხ. რაოდ.	დღგ	აქციზი	საშემოს. გადასახ.	მოგების გადასახ.	ქონების გადასახ.	სხვა გადასახ.	სულ	ხვედრითი წ. საწარ. მიღებულ შემოსავლ.
სასტუმროები რესტორნებით	233	1638061.1		3003288.9	1496979.4	1879532.3	182536.0	8200397.7	55.8
სასტუმროები რესტორნების გარეშე	321			1060507.9	207612.6	964091.1	160962.1	2393173.7	16.3
ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	410	1492622.8	425.5	1851213.9	515055.7	217347.3	25598.7	4102263.8	27.9
სულ	964	3130683.9	425.5	5915010.6	2219647.6	3060970.8	369096.9	14695835.2	100
2009 წლის საბიუჯეტო შემოსავლები სულ		825320808.7	114278434.6	1118946126.9	518440400.1	160383319.2	51010460.0	2788379549.5	
აღნიშნული საწარ-მოებიდან მიღებუ-ლი შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში %		0.4	0.0004	0.5	0.4	1.9	0.7	0.53	

წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზ-მის ეროვნული სააგენტო, 2011.

ცხრილი 3.

2010 წელს მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები

	დღგ	საშემოსავ. გადასახ.	მოგების გადასახ.	ქონების გადასახ.	სხვა გადასახ.	სულ	ხვედრითი წილი სამეწარმეობიდან შემოსულ შემოსავლებში
სასტუმროები	6,793,550.3	5,981,126.6	1,909,693.3	4,133,539.9	640,603.1	19,458,513.2	38
რესტორნები	6,271,121.0	7,375,063.3	1,658,090.5	3,591,096.7	713,581.3	19,608,952.8	39
ტურისტული სააგენტოები და სამოგზაურო ბიუროები	1,957,811.9	2,283,109.4	1,072,725.6	430,724.4	15,870.1	5,760,241.4	11
სამგზაური ტრანსპორტი	1,659,945.3	2,673,210.9	643,344.3	425,651.4	502,457.8	5,904,609.6	12
სულ	16,682,428.5	18,312,510.2	5,283,853.8	7,417,546.3	1,872,512.3	50,732,317.0	100
2010 წლის საბიუჯეტო შემოსავლები სულ	–	–	–	–	–	–	–
აღნიშნული საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში %	–	–	–	–	–	–	–

წყარო: საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, საზღვრის დაცვის პოლიცია აწარმოებს კვლევას რეზიდენტი და არარეზიდენტი მოქალაქეების საზღვრის კვეთის რაოდენობასთან დაკავშირებით, აღრიცხავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის მონაცემებს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: პერიოდი (წელი, თვე), მოქალაქეობა, მოძრაობა (შემოსვლა, გასვლა), სასაზღვრო გამშვები პუნქტი, ტრანსპორტის სახეობა (დიაგრამა 3., ცხრილი 4.).[12]

დიაგრამა 3.

საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გამგზავრების რაოდენობა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (2008–2010)



წყარო: შშს/საზღვრის დაცვის პოლიცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011

ცხრილი 4.

საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გამგზავრების რაოდენობა თვეების მიხედვით (2007–2010)

თვე	2007	2008	2009	2010	მატება %–ში
იანვარი	106974	113723	140588	117221	-17
თებერვალი	91261	111847	129123	112888	-13
მარტი	105233	135790	160527	150989	-6
აპრილი	109427	148704	164451	148499	-10
მაისი	127448	159136	200822	157152	-22
ივნისი	113678	157811	187326	177587	-5
ივლისი	138736	166215	183164	199705	9
აგვისტო	145277	177071	190598	208348	9
სექტემბერი	139544	166307	167711	209775	25
ოქტომბერი	135925	171976	152340	198140	30
ნოემბერი	125248	173742	152447	188877	24
დეკემბერი	134686	181006	150538	220106	46
ჯამი	1473437	1863328	1979635	2089287	6

წყარო: შშს/საზღვრის დაცვის პოლიცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია იკვლევს საჰაერო მიმოსვლის სტატისტიკას; აერთიანებს სამოქალაქო ავიაციის, საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტებს. საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტში დასახვეწია გადაყვანილ მგზავრთა აღრიცხვის სტატისტიკა. საჭიროა განისაზღვროს: მგზავრთა მოქალაქეობა, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება, შესრულებული რეისების რაოდენობა.[10]

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოში 2011 წელს, ტრანსპორტის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი უცხოელი მოგზაური (2 380 760 ტურისტი) საგზაო ტრანსპორტის გამოყენებით ჩამოვიდა, რაც 42%-ით (703 356 უცხოელი მოგზაურით) მეტია 2010 წლის მონაცემებზე. საგზაო ტრანსპორტით მოგზაურები შეადგენდნენ მთლიანი მოგზაურების 84-%-ს, ხოლო საჰაერო ტრანსპორტით მოგზაურები – 12%-ს (ცხრილი 5.).

ცხრილი 5.

შემოსულ ტურისტთა რაოდენობა ტრანსპორტის სახეების მიხედვით (2011)

ტრანსპორტის სახე	რაოდენობა 2010	რაოდენობა 2011	% მატება
საგზაო	1677404	2380760	42
საჰაერო	245488	335989	37
საზღვაო	506660	56909	0.4
სარკინიგზო	53018	55041	4



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2012

დიაგრამა 4.

საქართველოსა და უცხო ქვეყნის ვიზიტორთა დინამიკა დაცულ ტერიტორიების მიხედვით (2010)



წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2011

საქართველოს ეროვნული მუზეუმი იკვლევს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში არსებული მუზეუმების დამთვალიერებელთა რაოდენობას (შიდა და უცხოელ ვიზიტორებს), თუმცა უცნობია დამთვალიერებელთა წარმომავლობა – საცხოვრებელი ქვეყანა.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო აღრიცხავს ვიზიტორთა სტატისტიკას დაცული ტერიტორიების მიხედვით (დიაგრამა 4.). საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წელს ვიზიტორთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით 100%-ით გაიზარდა და შეადგინა 300 000 ვიზიტორი – 53 000 უცხო ქვეყნის მოქალაქე, 247 000 ადგილობრივი ვიზიტორი. 2011 წელს ტურისტების რიცხვის ზრდა დაცულ ტერიტორიებზე ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ და ეკოტურისტებისათვის განახლებულმა ტურისტულმა პროდუქტმა და მომსახურებამ განაპირობა (დიაგრამა 5.).

დიაგრამა 5.

ვიზიტორთა დინამიკა დაცულ ტერიტორიებზე (2005–2011)



წყარო: საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2011

ცხრილი 6.

საქართველოს რეგიონებში შიდა ტურისტთა რაოდენობა (%–ში)

რეგიონები	აჭარა	შიდა ქართლი	კახეთი	იმერეთი	გურია	ქვემო ქართლი	სამცხე–ჯავახეთი	სამეგრელო	რაჭა	თბილისის შემოგარენი	აფხაზეთი	სვანეთი	ფშავი	თუშეთი	სახლვარგარეთი
ტურისტთა რაოდენობა %	24,3	23,6	17,7	17,3	9,5	8,0	7,7	7,7	4,4	3,6	2,2	0,9	0,6	0,1	6,5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2010 წ.

2010 წელს, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს დაკვეთით, ქვეყნის რეგიონებში ტურიზმის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, კვლევა ჩაატარა BCG Research-მა. კვლევა მოიცავდა თბილისის მოსახლეობის (3382 რესპოდენტის) ინტერესის გამოვლენას შიდა მოგზაურობებისადმი (ცხრილი 6., 7.).

ცხრილი 7.

მოგზაურობის სახეობები და მონაწილეობის ინტენსივობა, შიდა ტურიზმი (2009 წელი)

	კვირაში სამჯერ	კვირაში ერთხელ	ორ კვირაში ერთხელ	თვეში ერთხელ	ორ თვეში ერთხელ	სამ თვეში ერთხელ	წელიწადში ერთხელ	წელიწადში ორჯერ	არ დაფიქსირებულა
პიკნიკი	0,12	0,63	0,99	2,51	1,05	3,58	6,72	4,75	79,66
ექსკურსია–კულტურული ძეგლების დათვალიერება	0,03	0,39	0,30	0,42	0,69	2,75	13,77	9,23	72,43
ბუნებაშიგასეირნება	0,57	1,70	1,97	2,81	2,00	5,68	10,27	7,92	67,08
თევზაობა–ნადირობა	0,12	0,15	0,24	0,66	0,39	0,75	3,20	2,18	92,32
ჯომარდი	0,12	—	0,03	—	—	0,03	0,45	0,06	99,31
სამთო ლაშქრობა	—	—	0,03	0,12	—	0,09	0,90	0,30	98,57
ფესტივალი ან კონცერტი	0,09	0,18	0,24	1,05	0,63	1,70	4,51	3,49	88,11
სახალხო დღესასწაული	0,03	0,21	—	—	0,21	1,02	10,63	3,88	84,02
რთველი	0,18	—	—	—	—	0,03	17,83	0,63	81,33
თხილამურებზე სრიალი	—	0,03	0,09	0,03	—	0,06	3,23	0,21	96,36
თოვლში გარუჯვა	—	0,06	0,09		—	0,03	2,72	0,24	96,86
მდინარეზე, ტბაზე ცურაობა და გარუჯვა	0,18	0,24	0,27	0,33	0,15	0,30	11,50	2,75	84,29
კურორტზე გაჯანსაღება (სუფთა ჰაერზე, მინერალური წყლის პროცედურები)		0,15		0,18	0,03	0,06	10,90	0,96	87,72
სოფლად – სტუმარი	0,12	0,93	1,28	3,14	2,09	5,91	35,35	10,63	40,55
საზღვაო კურორტი –დასვენება	0,24		0,06	0,03	0,06	0,03	20,28	0,87	78,43

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, 2010წ.

ზემოაღნიშნული მონაცემების სიზუსტისა და სარწმუნოებისთვის, სასურველია საერთაშორისო მოგზაურების კვლევა ტარდებოდეს ერთობლივად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ. ასეთი ინიციატივა გააქრობს ეჭვებს იმის თაობაზე, აისახება თუ არა უცხოელი ვიზიტორების სრული გავლენა საგადამხდელო ბალანსის ანგარიშში და ხდება თუ არა ძირეული მონაცემების მიწოდება ტურიზმის სატელიტური ანგარიშების განვითარებისათვის. საერთაშორისო მოგზაურთა შესახებ საჭიროა კველევების ჩატარება წელიწადში ოთხჯერ, ძირითად სასაზღვრო პუნქტებში, რადგან უცხოელი ვიზიტორების შემოსვლების ძირითადი ტენდენციები სეზონური ცვლილებებიდან გამომდინარე უნდა იქნეს ასახული.

დღეს საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ტურიზმის სექტორში 2009 წელს შეადგინა 132 მილიონი აშშ დოლარი. 2004 წლიდან (147 მილონი აშშ დოლარიდან) ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა და 2009 წელს შეადგინა 470 მილიონი აშშ დოლარი.[3]

ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის დინამიურად განვითარებად სფეროს. ტურისტულ ინდუსტრიას შეუძლია დაასაქმოს ადამიანური რესურსები მცირე ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილში და განავითაროს იგი (დიაგრამა 6.). [15]

დიაგრამა 6.



წყარო: სტატისტიკი ეროვნული სამსახური, 2011, www.geostat.ge

ტურისტული ინდუსტრიის და განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნაში ინვესტიციებისათვის სასურველი გარემოს შექმნა. საქართველოს სამთავრობო დოკუმენტში – „საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის" აღნიშნულია: „ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში".

2010 წელს საქართველოში ინვესტორთა მიზიდვისა და სასურველი გარემოს შემნის მიზნით მიღებულ იქნა კანონი: „თავისუფალი ტურტისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ". აღნიშნული კანონის მიხედვით ინვესტორი, რომელიც ქობულეთის ანაკლიისა და განმუხურის ტერიტორიებზე ზღვიდან 140 მეტრის დაშორებით, სასტუმროს მშენებლობაზე 1 მლნ აშშ დოლარს დააბანდებს, 0,2 ჰა. მიწას სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღებს. ასევე, ინვესტორტორებს უფასოდ გადაეცემათ სამშენებლო პროექტის დოკუმენტაცია; სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ტერიტორიაზე მიიყვანოს კომუნიკაციები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. 2011 წლის 1 აგვისტომდე დასრულებული პროექტის ინვესტორი 15 წლით თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადებისაგან. აღსანიშნავია რომ „ანაკლია-ზუგდიდის თავი-

სუფალ ტურისტულ ზონაში" აშენდება „ანაკლია-ზუგდიდის" ახალი აეროპორტი და იახტკლუბი. მიწა, რომელიც ამ ტერიტორიებზე გადაეცა ინვესტორებს, მდებარეობს ესპანელი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული ბულვარის გასწვრივ.[6]

მაღალმთიანი რეგიონების განვითარება, გარდა შავი ზღვის სანაპირო ზოლისა, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს. 2011 წლის დასაწყისში აჭარაში დაიწყო გოდერძის უღელტეხილზე სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობა, რომლის დასრულება დაგეგმილია 2012 წლის ბოლოს. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემო სვანეთის რეგიონი, რომელიც ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილია მისი უნიკალური ბუნებისა და უძველესი ისტორიული ძეგლების გამო. რეგიონს გააჩნია მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გვხვდება. კერძოდ, ზაფხულის სათხილამურო ტრასა – უშბის ზეგანზე (რომელიც აკმაყოფილებს ოლიმპიურ მოთხოვნებს). დაგეგმილია 5-6 წელიწადში მოეწყოს ათი მაღალი დონის სათხილამურო კურორტი.[3]

2010 წელს აშენდა მესტიის აეროდრომი, რომესაც გააჩნია შესანიშნავი მდებარეობა და განვითარების საინტერესო პერსპექტივები. აღნიშნულ აეროპორტში შესაძლებელია ყოველდღიური ფრენების შესრულება, რაც ხელს უწყობს მესტიისა და უშგულის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებად ჩამოყალიბებას. ამასთან, აეროპორტი ერთმანეთთან აკავშირებს სვანეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებს. 2010 წელს მესტიაში, ჰაწვალში დასრულდა საბაგიროს და სათხილამურო საბაზო სკოლის მშენებლობა; 2011 წელს დაიწყო ლანჩვალის ძველი უბნის რესტავრაცია, რომელიც დამთავრდება 2012 წელს; 2011 წელს დასრულდა მესტიაში და ლანჩვალში სავალი გზების რეაბილიტაცია; აშენდა ჰოსტელი "სეტი" (მესტია, სეტის მოედანი); დასრულდა სასტუმრო "მესტიის" მშენებლობა და ა.შ.[8]

2010 წლამდე საქართველოში შემოვიდა სასტუმროების საერთაშორისო ქსელების ისეთი პოპულარული ბრენდები, როგორებიცაა: „რედისონი" – 4*, „ინტერკონტინენტალი" – 5*, „კემპინსკი" – 5*, „ჰაიატი" – 5*, „ჰილტონი" – 5*. ინვესტიციების რაოდენობა სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში 300 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს (დიაგრამა 7.).

დიაგრამა 7.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2011

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პროგნოზით, 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს შემოსულ ტურისტთა რაოდენობა 27%–ით გაიზრდება და შეადგენს 3 567 000 ტურისტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყანაში არ არსებობს ტურისტთა დათვლის მეთოდიკა და შესაბამისად, არა მხოლოდ ქვეყანაში შემოსულ ტურისტთა ოფიციალური სტატისტიკა, არამედ აღნიშნული პროგნოზიც არ შეიძლება იყოს რეალისტური (დიაგრამა 8.).

ზოგადად, საქართველოში ტურიზმის განვითარების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების პოლიტიკას. ამასთან, ეროვნული და რეგიონული ამოცანები უნდა დომინირებდეს და მას ლოკალური და სექტორული ინტერესები ექვემდებარებოდეს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამ რთულ ეტაპზე ტურისტულ ინდუსტრიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურ-პროდუქტის ფა-

დიაგრამა 8.

საქართველოში 2012 წელს შემოსულ ტურისტთა რაოდენობის პროგნოზი

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2012

სისა და ხარისხის ისეთი შეფარდება, რომელიც კონკურენტუნარიანს გახდის მას, უპირველეს ყოვლისა, შიდა ბაზარზე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ამ ეტაპზე, ტურიზმის განვითარების ძირითად პრიორიტეტად უნდა განიხილავდეს შიდა ტურიზმის განვითარებას, ქვეყნის რეზიდენტებისა და არარეზიდენტებისათვის ისეთი ტურისტული პროდუქტის შექმნას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც შიდა, ასევე მეზობელი ქვეყნების ტურისტულ ბაზარზე.

2010 წელს შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010 – 2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, რომლის პრიორიტეტთა შორისაა: რეგიონებში ტურიზმის განვითარება და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა.[10]

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი პოტენციის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“. ასევე, ქვეყანაში ტურისტული ნაკადის ზრდის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის შესაბამისი პირობების შემუშავება, მათ შორის: საგზაო ტურისტული ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურისტულ ობიექტებზე დაშვების წესი და სხვ.

ქვეყნის რეგიონებში შიდა ტურიზმის განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის, ვინაიდან საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ტურიზმის წილის ზრდა დიდადაა დამოკიდებული ადგილობრივი მოთხოვნის ზრდაზე. შიდა ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა ხელსაყრელ პირობებს უქმნის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას – ვითარდება ძველი და იქმნება ახალი ტურისტული ცენტრები; კულტურის, განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და ატრაქციები. ამდენად, შიდა ტურიზმზე მაღალი მოთხოვნის მქონე ქვეყნებს უნარი შესწევთ დააკმაყოფილონ საერთაშორისო მოთხოვნაც. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ტურისტულ ქვეყნებში შიდა ტურიზმი მთლიანი ტურისტული ნაკადის 80%-ს შეადგენს.[2]

საქართველოს შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სოფლის ტურიზმის, აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის სტიმულირება. ამ მიმართულებით, ადგილობრივი თუ უცხოელი დამსვენებლების მისაღებად, მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის ტრადიციული საცხოვრისის (კერძო სახლების) მომზადება. ასევე, მათი მფლობელების დატრეინინგება მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების უკეთ წარდგენის მიზნით;

ხორციელდება სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია. ღვინის ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარების მიზნით იქმნება ფერმერული და გლეხური მეურნეობების იდენტიფიცირების ქსელი.

კლიმატურ და ბალნეოლოგიურ კურორტებზე სამკურნალო ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოში, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით, თუმცა ამ სახის ტურიზმის განვითარების მასშტაბები, შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირის გამო, ჯერ-ჯერობით შეზღუდულია.

საკურორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით იზრდება ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორთა დაინტრესება საქართველოს საკურორტო ფაქტორებით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი-სამკურნალო რესურსების ფართოდ რეკლამირებითა და წინ წაწევით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საწყისი ეტაპის გავლის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში ტურისტული ცენტრები შედარებით პოპულარული გახდება, ტურიზმის განვითარება სულ უფრო ძალუმად დაიწყებს გარემოზე ზემოქმედებას. გარემოსთან მიმართებაში, ტურიზმის განვითარების სწორმა სტრატეგიამ, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის რეგიონებში გაცილებით უვნებელი ეკოლოგიური გარემო, ვიდრე ეკონომიკის რომელიმე სხვა დარგმა, რადგან გარემოს დაცვა ტურიზმის ინტერესების სფეროში შედის. [2]

ზემოაღნიშნული ხაზგასმულია, საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაში, „საქართველოს მდგრადი რეგიონული განვითარების პროცესში სახელმწიფოს მიზანია, უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების იმგვარი თანაფარდობა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციას – იცხოვრონ და ისარგებლონ ჯანსაღი გარემოთი“. [10]

დოკუმენტის მიხედვით: რეგიონის მდგრადი განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება დაცული ტერიტორიების როლის ზრდა; დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიური და კულტურული უფლებები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დაცული ტერიტორიების სისტემის პარალელურად, მომზადდება დამხმარე ზონის პროექტები, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლის ალტერნატიული წყაროს შექმნას (მაგალითად, ეკოტურიზმის განვითარება, ოჯახური სასტუმროების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა, გიდების დაქირავება და ა.შ.); რეგიონის ადმინისტრაციის მიერ მოხდება დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ამ ტერიტორიების ფარგლებში განვითარებულ ტურისტულ საქმიანობაში შესაძლო ჩართვის შესწავლა; რეგიონის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში ტურისტულ საქმიანობებში ადგილობრივი მოსახლეობის როლის მკაფიოდ განსაზღვრა; დაცული ტერიტორიების კატეგორიების განსაზღვრისა და შექმნის პროცესში (მაგალითად, ბუნებრივი ძეგლი) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ზოგადად, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა დაფუძნებულია ცოდნაზე. ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფილია კვლევებითა და გამოგონებებით, ინოვაციური აქტივობების ზრდით, განათლების ხარისხისა და კადრების კვალიფიკაციისათვის გაღებული ინვესტიციებით.

საქართველოს ქალაქებში, კურორტებსა და ტურისტულ ცენტრებში, ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს განთავსების საშუალებებსა და კვების ობიექტებში მომსახურების დაბალი ხარისხი წარმოადგენს, რაც აისახება ქართველი და უცხოელი ტურისტების შთაბეჭდილებებზე. [2]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ტურიზმის რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ამზადებს მომსახურების ქვედა და საშულო საფეხურის კადრებს, კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კონკრეტული პროფილის (მზარეული, მიმტანი და ა.შ.) სპეციალისტების არსებობა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ტურისტული ინფრატრუქტურა სწრაფად ვითარდება, აუცილებელია პროფესიული ცენტრების დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს კადრების მომზადებას არამარტო ქვეყნის ძირითად ქალაქებში, არამედ რეგიონებშიც.

აღსანიშნავია საქართველოს რეგიონებში არსებული სასტუმრო და საოჯახო სახლების მომსახურების დაბალი დონე – არაკვალიფიციური მომსახურე პერსონალი, არასათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა. მნიშვნელოვანია, რომ სასტუმრო და საოჯახო სახლების მეპატრონეთათვის პერიოდულად ხდებოდეს კონსულტაციების გაწევა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა მომსახურების ხარისხს. საქართველოს ტურიზმის განვითარების ერთ–ერთ, უაღრესად მნიშვნელოვან, პრობლემას წარმოადგენს გამყოლების და გიდების დაბალი პროფესიონალიზმი. ამასთან ერთად საჭიროა სამ-

თო-სათხილამურო, ზაფხულის სამთო, ქალაქის და სხვა პროფილის გიდების მოშზადება-გადაშზადება.

საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც აშზადებენ ტურიზმის სპეციალისტებს (ბაკალავები, მაგისტრები) ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობენ საბაზრო მოთხოვნებს – კურსდამთავრებულებს არ აქვს შესაბამისი ცოდნა და მათი უმრავლესობა ტურიზმის სფეროში ვერ საქმდება. კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი ნაწილობრივ გამოწვეულია არაკვალიფიციური პედაგოგების არსებობით. ხშირ შემხვევაში ისინი მოწყვეტილნი არიან რეალობას და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ასწავლიან მოძველებული ლიტერატურით და არ ფლობენ უცხო ენებს, რათა მოახდინონ საკუთარი თავის პროფესიული განვითარება საერთაშორისო პუბლიკაციების გაცნობით.[8]

ზოგადად, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, ტურიზმის ფაკულტეტების სწავლების ხარისხის არსებითი ხასიათის პრობლემებს წარმოადგენს:

- სასწავლო პროგრამების დაბალი დონე;
- დაბალი კვალიფიციის პედაგოგები;
- ქართული პუბლიკაციების სიმწირე;
- საერთაშორისო პუბლიკაციებთან ხელმიუწვდომლობა;
- სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შესაბამისი პროფესიული პრაქტიკის არქონა.

მაშინ, როდესაც ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელმწიფოს ტურიზმის დარგის განვითარება აქვს გამოცხადებული, ყოვლად დაუშვებელია არსებული საკანონდებლო ბაზის საფუძველზე ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის გატარება, რადგან იგი არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც დღეს ირჩევს მთავრობა. ტურიზმის დარგის ჩარჩო კანონი, ზემოაღნიშნული ხარვეზების გამო, ამჯერად ვერ შემოისაზღვრება მასში მხოლოდ ცალკეული ცვლილებების შეტანით – იგი მთლიანად საჭიროებს განახლებას. ასევე, საჭიროა საქართველოს სხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელთა მიზანია დღეს არსებული ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელ პრინციპებზე დაფუძნებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონებიდან, სარეკრეაციო ზონირებაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმის შედეგად სარეკრეაციო ზონირება უნდა გახდეს ქალაქმშენებლობითი დაგეგმარების ნაწილი და საფუძველი, მეტი ყურადღება უნდა იყოს გადატანილი სივრცითი დაგეგმარების კომპონენტზე, როდესაც ძირითადი დამკვეთი იქნება ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. რეფორმა უნდა შეეხოს, როგორც საკურორტო სფეროს, ასევე ურბანიზაციის, მშენებლობისა და გარემოსდაცვითი შესაბამისი სამსახურების ფუნქციებს.

დარგის ახალი ჩარჩო კანონი, „საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ“, საჭიროა განსაზღვრავდეს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, მიმართულს საქართველოს ერთიანი ტურისტული ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისაკენ და არეგულირებდეს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების დასვენებისა და მოგზაურობის განხორციელების პროცესში, თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა უფლებების რეალიზაციისას; ადგენდეს ტურისტთა დაზღვევისა და უსაფრთხოდ გადადგილების პირობებს; ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და რეალიზაციის წესებს; განსაზღვრავდეს საქართველოს ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენების წესს; ახდენდეს ტურისტული საწარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას.

აღნიშნული კანონის მიხედვით სახელმწიფო უნდა აღიარებდეს ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად, ხელს უწყობდეს ტურისტულ საქმიანობას და ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს მისი განვითარებისთვის; განსაზღვრავდეს და მხარს უჭერდეს ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებებს; აყალიბებდეს შეხედულებას საქართველოზე, როგორც ტურიზმისათვის მიმზიდველ ქვეყანაზე; ახორციელებდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ტურისტული საქმიანობის მონაწილეებისა და მათი გაერთიანებების მხარდაჭერასა და დაცვას. [2]

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილების მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნაში ტურიზმის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ხელისუფლების მხარდაჭერაზე. აღსანიშნავია რომ ტურიზმის განვითარების დადებითი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე განისაზღვრება დარგის განვითარების მდრადობით, განსაკუთრებით გარემოს მიმართ არამომხმარებლური დამოკიდებულებით. ტურიზმის დინამიური განვითარების პროცესი საჭიროებს ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხობრივ ცვლილებებსა და გამრავალფეროვნებას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, მართვის მეთოდების მუდმივ განახლებასა და სრულყოფას – დარგის განვითარებისადმი ინოვაციურ მიდგომებს.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ტურიზმის განათლების სისტემის რეგულირებასა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. ინოვაციური გარემოს შექმნა

ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის პირობებში. სწორედ ასეთი გარემო მოგვცემს საშუალებას ზუსტად გაითვალოს დარგის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია ნებისმიერი შემაფერხებელი ფაქტორებისა და მოსალოდნელი კრიზისების გათვალისწინებით.

საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების თეორიულ საფუძვლებს. ტურისტული ბაზარი უნდა იყოს კონკურენციული, ანუ ტურისტული ბაზარი მაქსიმალურად თავისუფალი, ხოლო კანონმდებლობა ორიენტირებული უნდა იყოს კონკურენციული ბაზრის დაცვაზე. [2]

ტურისტული ბაზრის განვითარება, ძირითადად, მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს. განვითარების შემდგომ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ტურიზმის მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი (ერთი და იგივე პროდუქტის ბრენდებს შორის კონკურენცია).

ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის საფუძველზე, შიდა ბაზარზე უნდა გაიზარდოს ერთობლივი მოთხოვნა ტურ-პროდუქტსა და ტურისტულ მომსახურებაზე (შეიქმნას კონკურენციული ბაზარი), რის შედეგადაც, შემდგომში ჩამოყალიბდება მაღალი ერთობლივი მოთხოვნა ტურ-პროდუქტზე (რომელიც აამაღლებს ტურ-პროდუქტისა და ტურისტული მომსახურების ხარისხს და გახდის მას კონკურენტულს გლობალურ ბაზარზე), რაც საფუძველს დაუდებს ტურიზმში მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის ჩამოყალიბებას. [2]

იმის გამო, რომ საქართველოს ტურ-პროდუქტში მასის ეფექტის მიღების შანსი არ არესებობს (ანუ გლობალურ ბაზარზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებს მასობრივი ტურიზმით), ამიტომ ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ქართული ტურისტული პროდუქტისათვის გლობალურ ბაზარზე კონკურენციული უპირატესობის შექმნაზე.

ტურისტული ბაზრის კონკურენციულ ბაზრად ჩამოყალიბებას სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ (არ იგულისხმება სახელმწიფო პოლიტიკა მოკლევადიან პერსპექტივაში, რადგან მსხვილ კომპანიებს უახლოეს მომავალში გლობალურ ბაზარზე წარმატებული კონკურენციის განსახორციელებლად, უამრავი მიზეზის გამო, არ შეიძლება ჰქონდეთ კონკურენტული უპირატესობები) მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი. [2]

ამჟამად საქართველოს ტურიზმს აქვს ოლიგოპოლიური ბაზარი, რადგან მას აკონტროლებს 2-3 ტურისტული კომპანია (მით უმეტეს, რომ ამ კომპანიების საქმიანობა შემოისაზღვრება ტურისტების მცირე ჯგუფების უცხოეთიდან შემომყვანით და არა შიდა ტურიზმით), რაც აზარალებს სახელმწიფო ინტერესებს. რამდენიმე კომპანიის მიერ საქართველოს ტურისტული ბაზრის გაკონტროლება შესაძლებელია გამართლებული იყოს ხანგრძლივ პერსპექტივაში (25 წლის შემდეგ), ანუ დღეს რამდენიმე ფირმის ინტერესი სრულად რეალიზდება სახელმწიფო ინტერესების ანუ ტურიზმის, როგორც დარგის განვითარების შეზღუდვის ხარჯზე. [2]

საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭიროა განვითარდეს ტურისტული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგია (წარმოების კულტურა – სატრანსპორტო ინდუსტრია, გზები, კომუნიკაციები, მომსახურების სტანდარტები, განთავსების საშუალებების გადანაწილება და გამრავალფეროვნება, ტურისტულ მარშრუტებზე სველი წერტილები, პიქტოგრამები და ა.შ.).

საქართველოს ტურისტული პროდუქტის, როგორც შიდა, ასევე გლობალურ ბაზარზე გატანისა და დამკვიდრებისათვის საჭიროა ტურისტული პროდუქტის რეკლამა და წინ წაწევა, მიზნობრივი მარკეტინგული კვლევები, რაც გამოკვეთს მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებსა და პოტენციურ ტურისტთა ჯგუფებს.

სახელმწიფოს მიერ საჭიროა წარმოებული უნდა იქნეს ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების ფართო სარეკლამო კამპანია, რომელიც განაპირობებს, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტული ნაკადების ზრდას. ამასთან, სარეკლამო კამპანიის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსოფლიო ტენდენცია – ორიენტაცია არა მხოლოდ ტურისტთა რაოდენობის, არამედ მათგან მიღებული შემოსავლების ზრდაზე. ისეთი მცირე ტერიტორიის და უნიკალური ბუნებრივი და კულტურული რესურსების მქონე სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა, პრიორიტეტულია არა ტურისტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდით, არამედ ტურისტთა დანახარჯების ზრდით მიღებული ეკონომიკური ზრდა (ტურისტული პროდუქტის გამრავალფეროვნების, მომსახურების ხარისხის ამაღლების და სეზონური პერიოდის გახანგრძლივების საშუალებით). ტურისტული პროდუქტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის წინ წაწევის ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ დაბანდებული ინვესტიციები (საბიუჯეტო სახსრები) შედეგს მხოლოდ რამდენიმეწლიანი მუდმივი დაბანდების პირობებში მოგვცემს. ასეთი სარეკლამო კამპანიის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებია: აქცენტის გაკეთება ძირითად მიზნობრივ ბაზრებზე, სარეკლამო ინვესტიციების მოცულობასა და ხანგრძლივობაზე. სარეკლამო კამპანია უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ ტურიზმიდან შე-

მოსავლების ზრდასთან დაკავშირებით, არამედ მის შესანარჩუნებლად. [2]

ტურიზმის განვითარების პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს დარგის განვითარების სწორი ხედვა (ეროვნული ტრადიციები, ღირებულებები და მიმართულებები), რათა ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რეალურად გახდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი.

Tourism policy of Georgia and developmental trends

Marina Metreveli,
Rusudan Kutateladze

Summary

The economic policy of tourism of Georgia must be based on the theoretical foundations of economics and tourism development. The tourist market must be competitive, i.e. maximally free, and the legislation must be oriented on the protection of the competitive market. The tourist market development must be reached at the expense of small business development in the first instance. For the tourist industry of Georgia to develop, the tourist product production technology (production culture) should be developed.

The policy of tourism development of Georgia must be oriented on the regulation and promotion of tourism education system and innovations. Establishment of an innovative environment in the country is possible only in terms of vast scientific potential and state support.

The policy of tourism development must ensure the right view of the branch development (national traditions, values and trends), so that to make tourism, as an interbranch complex, the basis for the economic development in the country.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., „ტურიზმის ბიზნესი“, ფავორიტი პრინტი, თბ., 2011
2. მეტრეველი მ., „ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა“, ფავორიტი პრინტი, თბ., 2011
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია, 2010
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტურიზმის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები, „საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით (2000-2010წწ.)“.
5. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, „საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია — 2010-2017 წწ.“
6. საქართველოს კანონი „ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, თბ., 2010
7. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, თბ., 1997
8. http://www.gbg.ge/?lang=geo&page=155
9. http://www.georgia.travel/travel/index.php?page=3&sub=4&lang=1
10. http://www.geostat.ge
11. http://www.mcs.gov.ge/
12. http://www.mrdi.gov.ge/
13. http://www.nbg.gov.ge/
14. http://www.police.ge/;
15. http://www.rs.ge/#!prettyPhoto/1/